## ა. მეტრეველი ფინალში

ალმა-ათაში მიმდინარე ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში თბილისელმა ა. მეტრეველმა იოლი გამარჯვება მოიპოვა მოსკოველ ვიაჩ. ეგოროვთან შეხვედრაში — 6:3, 6:1, 6:1. ფინალში მეტრეველს შეხვდება მისი ტრადიციული მეტოქე, ტალინელი თ. ლეიუსი. ლეიუსმა ნახევარფინალში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა მოსკოველი ა. ვოლკოვი — 10:12, 6:3, 4:6, 6:3, 6:3.

ქალთა ერთეულების ფინალში გავიდნენ მოსკოველი ო. მოროზოვა და რიგელი ზ. იანსონე. პირველმა ნახევარფინალში დაამარცხა ლენინგრადელი ა. ერემეევა, მეორემ — მოსკოველი ე. იზოპაიტისი.

ეშერაში დამთავრდა საქართველოს პირველობა საცხენოსნო სპორტის ეროვნულ სახეობებში. პარალელურად მიმდინარეობდა აფხაზეთის პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებშიც. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს გუდაუთელებმა, II ადგილზე არიან ოჩამჩირელები, ხოლო III — ცხაკაიელები. აფხაზეთის პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: სოხუმი, ოჩამჩირე, გუდაუთა.



სურათზე: ხამჯიდში გამარჯვებული სოხუმელი დ. ხოფერიას ასპარეზობისას.

მ. ზარგარიანის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

◆ ბაქო, 10 ოქტომბერი. ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატში კვლავ ლიდერობს კიევის „სპარტაკის" გუნდი. უკრაინელ სპორტსმენებს ჯერ არც ერთი წაგება არა აქვთ.

◆ ბერლინი, 10 ოქტომბერი. მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალში გავიდა 6 საბჭოთა სპორტსმენი — ვ. სოკოლოვი, ა. ზაიცევი, ა. ოვჩინნიკოვი, ვ. ტრეგუბოვი, ა. შეპილოვი და ი. ნესტეროვი.

◆ ჰავანა, 10 ოქტომბერი. ჩრდილოეთი, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების ახალგაზრდა ფეხბურთელთა მესამე ჩემპიონატში გაიმარჯვეს მექსიკელებმა. 4 მატჩიდან მათ 3 მოიგეს, ერთი კი ფრედ დაამთავრეს. მეორე ადგილი დაიკავეს კუბის, მესამე — იამაიკის გუნდებმა.



## ი. ფხაკაძე და ვ. სანიკიძე — რეკორდსმენები

„ლოკომოტივის" სტადიონზე, თბილისის საკლუბო გუნდების მძლეოსანთა შეჯიბრებაში, საქართველოს კიდევ ორი რეკორდი გაუმჯობესდა. ერთი მათგანის ავტორია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ი. ფხაკაძე, რომელმაც ურო 63, 80 მეტრზე ტყორცნა და თავისივე ძველ რესპუბლიკურ მიღწევას 1,45 მეტრი მოუმატა. აღსანიშნავია, რომ ფხაკაძემ წლეულს საქართველოს რეკორდი 5 მეტრზე მეტით გააუმჯობესა და პირველი სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა ამ სახეობაში.

მეორე რეკორდსმენია თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ვ. სანიკიძე. მან 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 1:37.47,8.

• • •

სურათზე: ი. ფხაკაძე შეჯიბრების დროს.

ო. გელაშვილის ფოტო.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 200 (4194)

1970 წ. 11 ოქტომბერი. კვირა. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ჩვენს მეგობარ რესპუბლიკებში

### „მეტალისტის" ემბლემით

ხარკოვის მალიშევის სახელობის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნის სპორტული ოჯახი ორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატით შეივსო. ეს საპატიო წოდება მიიღეს სსრ კავშირის ჩემპიონმა, მძლეოსანმა ვ. პანტელეიმ და მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა, ძალოსანმა ბ. პავლოვმა. ორივე სპორტსმენი ქარხნის სპორტული კლუბის „მეტალისტის" აღზრდილია.

ფიზიკური კულტურა და სპორტი მუშათა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამ საწარმოში ყოველი მეორე ფიზკულტურელია. მუშაობს 30-ზე მეტი სპორტული სექცია.

ქარხნის 16 სპორტსმენი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში შედის. მათ ბევრჯერ დაუცავთ საბჭოთა ქვეყნის ღირსება საერთაშორისო სარბიელზე. ქარხნის ფეხბურთელები და ხელბურთელები „ა" კლასში გამოდიან.

მანქანათმშენებლები მუდამ საინტერესო და სასარგებლო საქმის თაოსნები არიან. 1927 წელს მათ ხარკოვში ერთ-ერთმა პირველებმა გახსნეს თავიანთ საწარმოში ბავშვთა სპორტული სკოლები. სულ ახლახან მანქანათმშენებლებმა საკურათი ფლოტილიაც შექმნეს.

„მეტალისტის" სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი დღეს საუკეთესოა მთელს ოლქში. მძლეოსნები, ფრენბურთელები, ხელბურთელები, ჩოგბურთელები თავიანთ ოსტატობას ხელოვნურსაფარიან სარბენ ბილიკებზე და სათამაშო მოედნებზე სრულყოფენ. ქარხნის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია რამდენიმე კეთილმოწყობილი ქალაქგარე ბაზა, სანიჩბოსნო სადგური.

ქარხნის ფიზკულტურელების სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის 20 სახეობა შედიოდა.

ვ. რეზნიკი.

(უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

ხარკოვი.

### ახალგაზრდული დახმარება

როგორც ცნობილია, სომხეთის სტუდენტებმა წამოიწყეს მოძრაობა: „საბჭოთა კავშირის სტუდენტები — სპორტულ ყაზახეთს". ამ თაოსნობამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა სტუდენტთა სამშენებლო რაზმებში. ყაზახეთის სტუდენტ მშენებელთა რაზმების შტაბში მოდის ცნობები რესპუბლიკის სოფლებსა და აულებში გაშლილი სპორტული ახალმშენებლობების მსვლელობაზე. აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „აინბულაკსკში" „პრომეთეოსის" რაზმის ენთუზიასტებმა ააგეს ახალი სტადიონი ფეხბურთის მინდვრით, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებით, სარბენი ბილიკებით, სექტორებით. აქ უკვე ჩატარდა სტუდენტ-მშენებელთა პირველი შეჯიბრებები ადგილობრივ მძლეოსნებთან, მოჭიდავეებთან, ფრენბურთელებთან და ფეხბურთელებთან.

კოკჩეტავის ოლქის ჩრდილოეთით, საბჭოთა მეურნეობა „ბოსტანდიკსკის" სპორტული კომპლექსი ქალაქის ბაზებს არ ჩამორჩება. ეს კომპლექსი ერევნელ მშენებელთა რაზმმა ააგო. აქ არის შესანიშნავი სტადიონი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ქალაქი, ჩოგბურთის კორტები, სარბენი ბილიკები. ერევნელები — მომავალი მწვრთნელები და ფიზკულტურის მასწავლებლები—ცდილობდნენ, რომ სპორტული ქალაქი სპორტსმენთა ყველა მოთხოვნის შესაბამისად ყოფილიყო აგებული.

ამ ზაფხულს ახალი სპორტული ნაგებობები ყველა ოლქში გაჩნდა. შრომობენ სვერდლოვსკელი სტუდენტები, ყარაგანდის პოლიტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტების წარმომადგენლები და სხვ.

ი. ნიკიტინი.

(ყაზახეთის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

ალმა-ათა.



## აწყურელები ბრძოლას გააგრძელებენ

აწყურის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მეძეველობა-მებაღეობის საბჭოთა მეურნეობის ახალ სტადიონზე დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშების — „ოქროს თავთავის" ნახევარფინალური ტურნირი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფეხბურთელთა გუნდებს შორის. აღსანიშნავია, რომ აწყურელებმა თავიანთი ახალი სტადიონი სწორედ ამ ტურნირის დაწყების დღეს გახსნეს საზეიმოდ.

ნახევარფინალში 4 კოლექტივი მონაწილეობდა. პირველობა მოიპოვა უკრაინის ბუჩაჩის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა, რომელმაც სამივე მატჩი მოიგო: აწყურელებთან (1:0), სომხეთისა (4:1) და აზერბაიჯანის (1:0) ფეხბურთელებთან. II ადგილი დაიკავა აწყურის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა. აწყურელებმა ორი მატჩი მოიგეს: ჯერ სომხეთის (5:1), შემდეგ კი აზერბაიჯანის (5:2) ფეხბურთელებთან.

დებულების თანახმად, I-II ადგილებზე გასული კოლექტივები ფინალში იასპარეზებენ.

• • •

სურათზე: აწყურის ახალი სტადიონის ხედი.

ვ. ჩერკასოვის ფოტო.

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება




# მთავარი მწვრთნელი უკმაყოფილოა




ამას წინათ თბილისში დამთავრდა საქართველოს საუწყებო პირად-გუნდური ჩემპიონატი ხასტენდო სროლაში. ამ შეჯიბრების მონაწილეებზე, რეგლამენტზე, შედეგებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელი ხასტენდო სროლაში ა. ბაქრაძე.

ვბეჭდავთ საუბრის ჩანაწერს.

● კმაყოფილი ხართ თუ არა ტურნირის შედეგებით?

— არავითარ შემთხვევაში. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადებისას ამ დიდ ასპარეზობამდე ერთი წლით ადრე გამართულ არც ერთ რესპუბლიკურ პირველობაში ასეთი დაბალი შედეგები არ ყოფილა.

● ჩვენი რესპუბლიკის ცალკეული მესტენდურეები წლეულს საკავშირო ტურნირებში უხეიროდ არ გამოსულან. კ. დარასელია ქვეყნის ჩემპიონი გახდა, დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები ჰქონდათ ზ. მაჩხანელს, ტ. ულენტს, თ. მატოიანს, ახლა რა მოხდა?

— საკავშირო ტურნირების შემდეგ ჩვენი სპორტსმენები, ეტყობა, გულისხმიერად აღარ ვარჯიშობდნენ, წვრთნისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას კი მუდამ ცუდი შედეგი მოსდევს. პირდაპირ საოცარია, ცეცხლის ხაზზე გამოსული ოცზე მეტი სპორტის ოსტატიდან, რომელთა შორის საქართველოს ნაკრების ყველა წევრი იყო, მხოლოდ ერთმა გაიმეორა სპორტის ოსტატის ნორმატივი, და ისიც ნაკრების წევრი როდია. მარტო ქუთაისელმა კ. ულენტმა („განთიადი") მოახერხა ადგილიდან სროლაში 100-დან 96 სამიზნის დამსხვრევა, თუმცა ჩემპიონობა მაინც ვერ მოიპოვა, საქმე ისაა, რომ წინადღით გუნდურ შეჯიბრებაში ულენტმა მხოლოდ 81 ქულა მოაგროვა, საპრიზო ადგილები კი 200 შესაძლებლიდან ნაწილდებოდა.

● ყველას ვინ აჯობა, ან რა შედეგები ჰქონდათ პრიზიორებს?

— ადგილიდან სროლის გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ჩემპიონი გახდა არმიელ მონადირეთა საზოგადოების კოლექტივი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „ლოკომოტივი" და „განთიადი". გუნდური ტურნირის მონაწილეთ 100-100 სამიზნე ეძლეოდათ, ფინალში 6-6 საუკეთესო გადიოდა და იქ კიდევ 100-100 სამიზნეს იღებდნენ. პირად ტურნირში რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა („ლოკომოტივი"), რომელმაც გუნდური შეჯიბრებისას 88 ქულა მოაგროვა, პირადი ტურნირის ფინალში — 93, 200 შესაძლებლიდან — 181 ქულა. II ადგილზეა კ. ულენტი — 177 ქულა (81+96). სსრ კავშირის ჩემპიონი, სოხუმელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კ. დარასელია („განთიადი") სუსტად გამოვიდა — მხოლოდ 167 ქულა მოაგროვა (86+81). მაგრამ დარასელიას ეტყობოდა, რომ ავადმყოფობის შემდეგ ჯერ საბოლოოდ არ გამოჯანსაღებულა.

● წლეულს დარასელია სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა წყვილ სამიზნეზე სროლაში („დუბლეტი"). რესპუბლიკურ პირველობაში როგორლა გამოვიდა ამ ვარჯიშში?

— ორი ცდით მხოლოდ 8 (4+4) ქულა მოაგროვა და II ადგილს დასჯერდა. დარასელიას აჯობა ახალგაზრდა პირველთანრიგოსანმა ა. წიკლაურმა („ლოკომოტივი"), რომელსაც 10 ქულა დაუგროვდა (2+8). ამ ვარჯიშში უხეიროდ გამოვიდა მეორე სპორტის ოსტატი, გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონი ვ. ალავერდოვიც („ლოკომოტივი") — 7 (4+3).

● ბოლო წლებში ხასტენდო სროლის პროგრამაში შედის მეტად საინტერესო სახეობა — პირველ აცდენამდე სროლა. ამ სახეობაში ვის გაუღიმა ბედმა?

— მაჩხანელს. იგი პირველივე სერიაში დაწინაურდა — მხოლოდ მე-16 სამიზნეს დააცილა და 15 ქულით ლიდერი გახდა. I ცდაზე მასთან 4 ქულას აგებდა ბათუმელი სპორტის ოსტატი ზ. კვაჭაძე („განთიადი"), მეორე ცდაზე მაჩხანელმა 24 სამიზნე გატეხა და ამ შედეგით ჩემპიონიც გახდა. II ადგილზე გავიდა კვაჭაძე (11 ქულა). კ. დარასელიამ, რომელმაც I ცდაზე 2 ქულა მიიღო, II ცდით 6 ქულა დააგროვა და III ადგილზე გავიდა.

## „ლელო" ინფორმაცია

● მრგვალ სტენდზე შეჯიბრება რა შედეგებით დამთავრდა?

— გუნდურ ჩათვლაში რკინიგზელებმა იმარჯვეს, პირად შეჯიბრებაში კი თავიდანვე დაწინაურდა ამ გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი ტ. ულენტი, რომელმაც 94 ქულა მოაგროვა. მეორე შედეგი (91 ქულა) ჰქონდა არმიელ ვეტერან ოსტატს ლ. სიმონიანს. მათს გარდა ფინალში გავიდნენ ახალგაზრდა სპორტის ოსტატები თამაზ იმნაიშვილი („ლოკომოტივი" — 90) და თ. მატოიანი (88), აგრეთვე, ოსტატი ნ. ჯანაშია (ორივე — „განთიადი") და ვ. ლოგინოვი (არმიელთა სპორტკლუბი). ფინალში ყველაზე კარგი მაჩვენებელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა მატოიანმა მოიპოვა. მან 95 ქულა დააგროვა, 200 შესაძლებლის ჯამში კი 183 ქულა მიიღო და III ადგილზე გავიდა. ასეთივე შედეგი ჰქონდა ტ. ულენტსაც, მაგრამ II ადგილი მან იმიტომ მიეკუთვნა, რომ პირველ დღეს უკეთესი შედეგი მოიპოვა. რაც შეეხება ჩემპიონობას, იგი სიმონიანს დარჩა — 184 ქულა.

● სახარბიელო შედეგები არც მრგვალ სტენდზე მსროლელებს ჰქონიათ. იქნებ ვინმე პირველ აცდენამდე სროლაში ან „დუბლეტში" გამოირჩეოდა?

— ამაო იმედია. პირველ აცდენამდე სროლაში გამარჯვებულმა ოსტატობის კანდიდატმა გ. განუგრავამ (არმიელ მონადირეთა საზოგადოება) მეორე ცდით 16 სამიზნე გატეხა და 2 ქულით აჯობა პირველთანრიგოსან ვ. მიასნიკოვს („განთიადი"), რომელსაც ასევე 2 ქულით ჩამორჩა მატოიანი. ეს უკანასკნელი „დუბლეტშიც" III ადგილს დასჯერდა. მან ორი ცდით 17 ქულა (5+12) მოაგროვა. II ადგილზე გავიდა იმნაიშვილი—19 (7+12). ჩემპიონი გახდა ტ. ულენტი — 21 (7+14).

● ვის დარჩა გამარჯვება საერთო გუნდურ ჩათვლაში?

— არმიელ მონადირეთა საზოგადოების გუნდს, რომელმაც ორივე სახეობის 1200 შესაძლებლიდან 897 ქულა დააგროვა. II ადგილზეა „ლოკომოტივი" (829), III — „განთიადი" (717), IV — „კოლმეურნე" (248).

● მონკავშირის გუნდზე რატომ არაფერი თქვით?

— მონკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ბოლო წლებში ძალიან გულგრილად ეკიდება სასტენდო სროლას. ამ საზოგადოებაში სისტემატურად უგულებელყოფენ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებს: არ ზრუნავენ სასტენდო სპორტის განვითარებისთვის, საქართველოს სსრ V სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის მითითებების ცხოვრებაში გატარებისთვის. საერთოდ, მონკავშირს სასტენდო სროლაში გუნდიც აღარ ჰყავს და, ცხადია, შეჯიბრებაშიც ვერ გამოვიდოდა. სხვა რესპუბლიკებში კი მონადირეთა კავშირებს უძლიერესი გუნდები ჰყავთ. რაღა შორს მივდივართ, განა საქართველოს მონკავშირის გუნდი ამ რამდენიმე წლის წინ საუკეთესო არ იყო?

● როგორი იყო გუნდების შემადგენლობა?

— ყოველ კოლექტივში 6-6 სპორტსმენი უნდა ყოფილიყო: 4-4 ვაჟი, თითო ჭაბუკი და თითო ქალი. მაგრამ გუნდების სრულად დაკომპლექტება ყველამ ვერ შეძლო. შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ქალთა შორის სპორტის ამ სახეობის დანერგვისთვის ნებაყოფლობითი საზოგადოებები და უწყებები ბევრს არაფერს აკეთებენ. უფრო მეტიც, სასტენდო სროლა არც ჭაბუკთა შორისაა მაინცდამაინც პოპულარული.

● ახალგაზრდებიდან ვისი გამოყოფა შეიძლება?

— ჭაბუკებში პირველ ყოვლისა წიკლაური უნდა დავასახელოთ. ქალებში გამოირჩევა ზ. მაჩხანელის ქალიშვილი თბილისის მე-60 სკოლის მეათეკლასელი რუსუდან მაჩხანელი, რომელიც გამოცდილ სპორტის ოსტატს ე. მელიქიშვილს სულ მალე ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს. ამ შეჯიბრებაში ეს გოგონა მელიქიშვილს მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა — 100-დან 62 ქულა მოაგროვა და რამდენიმე ვაჟსაც აჯობა.

● როგორ გესახებათ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში საქართველოს მესტენდურეთა პერსპექტივები?

— ჩვენს სპორტსმენებს საერთოდ კარგი ტრადიციები აქვთ, ყველასთვის მუდამ საშიში მეტოქენი არიან. სსრ კავშირის IV საიუბილეო სპარტაკიადაში ადგილიდან მსროლელებმა გუნდური ჩემპიონობა მოიპოვეს, კ. დარასელიამ კი პირად ტურნირში ვერცხლი დაისაკუთრა. მას შემდეგ 3 წელი გავიდა, გუნდში ნიჭიერი ახალგაზრდები მოვიდნენ, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატმა დამარწმუნა, რომ არც ვეტერანები, არც ახალგაზრდები, როგორც აღვნიშნე, სეზონის ბოლოს წვრთნას გულისხმიერად აღარ ეკიდებოდნენ. შედეგებიც ამიტომ იყო დაბალი. აბა, რით შეიძლება აიხსნას, რომ სპორტის ოსტატები, ქვეყნის ექსჩემპიონი ვ. ალავერდოვი და ა. ბუკია მეორე თანრიგის მაჩვენებელს ძლივს აღწევენ? მჯერა, თუ მომავალი სპარტაკიადისთვის გულმოდგინედ მოემზადებიან, საქართველოს მესტენდურეები მოსკოვიდან გაისადაც მედლებით დაბრუნდებიან. დიდი იმედი მაქვს მრგვალ სტენდზე მსროლელებისაც. რაც შეეხება ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტს, იგი სპორტსმენებს წვრთნის ყველა პირობას უქმნის.

# დროა მივხედოთ!

**ამჟამად სპორტის ყველაზე „ძვირად ღირებულ" სახეობებად ცურვა, მძლეოსნობა და ტანვარჯიში ითვლება. სწორედ ამ სახეობებში გამარჯვება იძლევა საპატიო ქულებს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში. რა წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მომზადებაში ბოლნისის წარმომადგენლებს?**

თავიდანვე საყვედურით უნდა დავიწყოთ. ბოლნისს არც ერთი სპორტსმენი არა ჰყავს მოზარდთა და მოზრდილთა რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდებში. სპორტული ტანვარჯიში რაიონში საერთოდ არ არის დანერგილი, ცურვას კი სულ 30 კაცი მისდევს. მოდით, მათი ამბავი ვიკითხოთ.

კაზრეთის 25-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. აქ მუშაობს ენთუზიასტი, საწარმოო სწავლების ოსტატი ზ. მოსესოვი. აუზი დიდი არ არის (28X8 მეტრი) და მხოლოდ ზაფხულის თვეებში მუშაობს. გასაგებია, რომ ასეთ აუზში წვრთნა მაინცდამაინც დიდ ნაყოფს ვერ გამოიღებს. იმ 30 მოცურავიდან ნახევარი მესამეთანრიგოსანია. მაგრამ დღეს მესამე თანრიგი აღარც იმდენად ფასობს დიდ სპორტში. რესპუბლიკურ სარბიელზე მესამეთანრიგოსნების იმედით ვერ დარჩები. ვფიქრობთ, დროა ბოლნისის რაიონში რამდენიმე აუზი იყოს.

მძლეოსნობა. ისევე 25-ე სასწავლებელი. ფიზაღზრდის მასწავლებელი შ. რეხვიაშვილი რეგულარულად (კვირაში ორჯერ) ატარებს შეჯიბრებებს მძლეოსნობის ცალკეულ სახეობებში. მუშაობს სექციაც (70 კაცი). აქვთ საწვრთნელი ადგილი მორბენლებისთვის, მხტომელებისთვის, მტყორცნელებისთვის. სასწავლებლის შარშანდელ სპარტაკიადაში მძლეოსნობა ყველაზე წარმომადგენლობითი იყო — 400 მოსწავლიდან 250 ამ სახეობაში ცდიდა ძალას. რაიონში საუკეთესო მძლეოსნებად ითვლებიან ზ. დურგლიშვილი, გ. მაბრიშვილი, თ. სონიძე. 55 მოსწავლე თანრიგოსანია ამ სახეობაში.

ანგარიშების მიხედვით, რაიონში 1504 მძლეოსანია, მაგრამ თანრიგოსანი მათგან მხოლოდ 338 კაცია. ამასთან, II თანრიგი მათში სულ რამდენიმეს აქვს.

სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე" 330 მძლეოსანს ითვლის. გადავხედოთ სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრებების შედეგებს 1969 და 1970 წლებში. სულ ორი ტურნირი ჩაუტარებიათ და ქალები არც ერთხელ არ გამოსულან სარბიელზე.

ორივეჯერ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიუღია 26-დან მხოლოდ 4 (?!) გუნდს. ამასთან, გამარჯვებულთა შედეგები არც კი იმსახურებს ინტერესს. თუ 1969 წელს მ. ჯაფარიძეს 400 მეტრზე რბენაში 1.15,0 უჩვენებია, 1970 წელს მ. ავეტისიანის შედეგი იმავე დისტანციაზე 1.10,0 ყოფილა. როგორც 1969, ისე 1970 წელს 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებულებს ერთნაირი მაჩვენებელი ჰქონიათ — 12,9.

სიგრძეზე ხტომაში წლეულს ვ. ლუაევის შედეგი 5,10 იყო, მის 9 მეტოქეს კი 5 მეტრის ზღვარიც ვერ გადაულახავს. როგორც 1969, ისე 1970 წელს ასპარეზობის პროგრამაში სულ 5 სახეობა შედიოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სარბენი ბილიკები მხოლოდ 4 კოლმეურნეობაშია მოწყობილი, მძლეოსნურ ინვენტარს კი სანთლითაც ვერ იპოვნი.

წლეულს „კოლმეურნის" 42 წევრმა მოიპოვა თანრიგოსნის სახელი. ამასთან, III თანრიგი მხოლოდ 25 კაცმა შეასრულა, დანარჩენები მოზარდთა თანრიგებს დასჯერდნენ. არ დაგავიწყდეთ, რომ „კოლმეურნეში" 4540 ფიზკულტურელია.

ასეთივე მძიმე მდგომარეობაა ბავშვთა სპორტშიც. ბავშვთა სპორტსკოლაში მძლეოსნობის ჯგუფები საერთოდ არ არის შექმნილი. ქალთა შარშანდელი სპარტაკიადის პროგრამაში სულ 3 სახეობა შედიოდა (60, 100 და 200 მ), წლეულს — 5 (60, 100, 400, სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა).

არანაკლებ უნუგეშო სურათია მოზარდთა სპორტში. ავიღოთ, მაგალითად, წლევანდელი შედეგები: ი. შახბაზოვა 125 სმ სიმაღლეზე გადახტა, მ. სულცაძემ 100 მეტრის გარბენას 14,7 მოანდომა...

ჭაბუკთა შორის თავი გამოიჩინა ო. ალაზოვმა (დარბაზის საშუალო სკოლა). მან სამი გამარჯვება მოიპოვა — 60, 100 და 400 მეტრზე. მაგრამ ეს გამონაკლისია.

კარგი ცვლის იმედი არც საskolo სპორტში ჩანს. ამიტომაც არის, რომ ეს სამი წელია ბოლნისელი მძლეოსნები რესპუბლიკურ შეჯიბრებებში აღარ მონაწილეობენ.

რთულ პირობებში ტარდება შეჯიბრებები თავად ბოლნისში. არა აქვთ სარბენი ბილიკები, სექტორები. სტადიონზე არ არის სასმელი წყალი, ერთ დროს ბევრს სიკეთეს ჰპირდებოდნენ ბოლნისელ მძლეოსნებს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, არაფერი შეუსრულებიათ.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადება უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. ბოლნისში ბევრი საკითხი უნდა მოგვარდეს. პირველ ყოვლისა საჭიროა მოწესრიგდეს სტადიონი, ბავშვთა სპორტსკოლაში მოვიდეს კარგი სპეციალისტი (აქ სპორტდარბაზში ვარჯიში ზამთრობითაც შეიძლება), უფრო ხშირად ჩატარდეს შეჯიბრებები. აი, მაშინ ექნება მძლეოსნობას ფასი ამ რაიონში.

ვ. ბუკინი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბოლნისი.

# გიწვევთ მოლდავეთში

მოლდავეთის მაგისტრალურ ავტოტრასებზე გამუდმებით დაჰქრიან ავტომანქანები, რომელთა საჭეს ავტოტურისტები უსხედან.

ჩვენს მიწაზე ბევრი რამ არის საინტერესო ცნობისმოყვარე მოგზაურებისთვის. მოლდაველი ხალხის ისტორია მჭიდრო კავშირშია რუსი, უკრაინელი და ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სხვა ხალხის ისტორიასთან. ავტოტურისტებს მოლდავეთში ელით ბევრი ახალი შთაბეჭდილება, ახალი ნაცნობობა, შეხვედრა.

ავტომოყვარულთა კეთილმომსახურებისთვის მოლდავეთის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში შექმნილია სპეციალიზებული სამმართველო, რომელსაც დავალებული აქვს ავტომოყვარულთა ტექნიკური მომსახურება, მსუბუქი ავტომობილების, მოტოციკლების, მოტოროლერებისა და სხვა რემონტი. კიშინიოვის, ტირასპოლის, ბელცის, ლაზოვსკის და სხვა ტექნიკური მომსახურების სადგურებს ერთდროულად 40-ზე მეტი ავტომანქანის მასპინძლობა შეუძლიათ. ყველა ამ სადგურში მოგვარებულია პირველი საჭიროების სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობის საკითხი.

უახლოეს წლებში ახალი ტექნიკური სადგურები (თითოეული 20-20 ავტომობილისთვის) მოეწყობა კიშინიოვში, ბენდერში, კომრატში და სხვა ქალაქებში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზოგან მოეწყობა სალონები, სადაც შეიძლება ახალი და საკომისიოდ გამოტანილი მსუბუქი ავტომობილების შეძენა.

მოლდავეთში მოგზაურობის დროს გაეცნობით ჩვენი მხარის ღირსშესანიშნაობებს, ბუნებას, მშრომელ და სტუმართმოყვარე მოლდაველ ხალხს, კარგად დაისვენებთ და ჯანმრთელობას გაიკაჟებთ. გვეწვიეთ მოლდავეთში, ძვირფასო მეგობრებო!

ვ. მელენტიევი.

კიშინიოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა





## სსრ კავშირის პირველობა

ფეხბურთი 1970

უმაღლესი ჯგუფი

გუშინწინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის სამი მატჩი.

ლენინგრადში „ზენიტმა" მიიღო „ნეფთჩი". ერთადერთი ბურთი, რომელმაც მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა, ბაქოელთა კარში მოათავსა უნანოვმა.

მინსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და „ზარია". მატჩი აქაც მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. გოლის ავტორია ტოლეიკო.

დრამატულად წარიმართა როსტოვის არმიელთა და ერევნის „არარატის" შეხვედრა. პირველ წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს აბრამიანის წყალობით, რომელმაც საკუთარ კარში გაიტანა გოლი. ამის შემდეგ ანდრიასოვმა იმარჯვა და ანგარიში გაქვითა, მაგრამ არმიელმა ზინჩენკომ შეძლო თავისი გუნდის დაწინაურება (2:1). როცა მატჩის დამთავრებას წუთი აკლდა, კაზარიანმა აღადგინა წონასწორობა — 2:2.

უმაღლესი ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 26 | 16 | 4 | 6 | 40—16 | 36 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 27 | 15 | 6 | 6 | 42—20 | 36 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 27 | 11 | 12 | 4 | 41—22 | 34 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 28 | 10 | 12 | 6 | 25—21 | 32 |
| „დინამო" (თბილისი) | 26 | 11 | 7 | 8 | 34—24 | 29 |
| „დინამო" (მინსკი) | 28 | 10 | 9 | 9 | 31—25 | 29 |
| „დინამო" (კიევი) | 28 | 12 | 5 | 11 | 30—26 | 29 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 27 | 7 | 14 | 6 | 25—25 | 28 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 27 | 9 | 9 | 9 | 27—30 | 27 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 27 | 8 | 10 | 9 | 22—19 | 26 |
| „არარატი" (ერევანი) | 27 | 9 | 8 | 10 | 25—28 | 26 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 28 | 9 | 7 | 12 | 27—36 | 25 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 27 | 8 | 7 | 12 | 29—47 | 23 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 28 | 6 | 11 | 11 | 20—41 | 23 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 27 | 7 | 8 | 12 | 22—33 | 22 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 6 | 10 | 13 | 22—34 | 22 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 27 | 5 | 7 | 15 | 24—39 | 17 |

# უფრო ორგანიზებულად, საინტერესოდ

რესპუბლიკური კომკავშირულ-პროფკავშირული მძლეოსნური კროსი ისე მასობრივად და ორგანიზებულად, როგორც ამას წინათ თბილისის იპოდრომზე ჩატარდა, კარგა ხანია არ გამართულა. თითქმის ყველა ორგანიზაცია, რომელსაც ამ ღონისძიებაში მონაწილეობა ევალებოდა, შეჯიბრებისთვის გულმოდგინედ მოემზადა და საასპარეზოდ თავისი საუკეთესო ძალები გამოგზავნა.

შეჯიბრება ყველა დისტანციაზე დაძაბული იყო. არავის მიუტოვებია დისტანცია, რბენისთვის თავი არავის აურიდებია, რაც ადრე საკმაოდ ხშირად ხდებოდა.

მაგრამ უნაკლო არც ეს ტურნირი გამოდგა. ბრძოლა უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფში თბილისის უნივერსიტეტის, უცხო ენათა პედინსტიტუტის, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიის, თეატრალური ინსტიტუტისა და კონსერვატორიის გუნდებიც გამოსულიყვნენ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდურ შეჯიბრებაში „ბურევესტნიკის", „კოლმეურნის" კროსმენებთან სწორედ ამ სასწავლებლების მძლეოსანთა დაუდევრობამ წააგებინა. როგორც ჩანს, გუნდის დაკომპლექტებისთვის „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ უფრო მეტი იზრუნა.

შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიას უნდა ვუსაყვედუროთ, რომ მდივნების უკმარობის გამო დროულად ვერ მოხერხდა პრიზიორთა და გუნდურ ჩათვლაში საუკეთესოთა ვინაობის დადგენა, რის გამოც კროსში გამარჯვებულებს ჯილდოები ადგილზე ვერ გადასცეს.

ტურნირის მონაწილენი რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ. სულ სარბიელზე 31 კოლექტივის 284 სპორტსმენი გამოვიდა, მათგან 39 მძლეოსანმა კროსში უმაღლესი — მეორე თანრიგის შედეგი აჩვენა, უთანრიგოდ კი საერთოდ ძალიან ცოტა დარჩა.

ყველაზე მასობრივი 15-16 წლის გოგონებისა და ბიჭების სტარტები იყო. 500 მეტრზე რბენაში პირველობისთვის 62 გოგონა იბრძოდა და ამიტომ მსაჯთა კოლეგიამ მათთვის რამდენიმე გარბენი მოაწყო. საბოლოოდ ყველას აჯობა გ. ტესლენკომ (აფხაზეთი) — 1.22,4. მას 0,1 წამით ჩამორჩა თბილისის 109-ე სკოლის მოსწავლე ტ. ივანოვა. III ადგილზეა ს. ნაუმოვა (რუსთავი) — 1.25,0. სწორედ ამ დისტანციაზე მორბენლების ანგარიშზე მოდის ყველაზე მეტი (13) მეორე თანრიგის შედეგი.

17-18 და 19-20 წლის ქალიშვილები 1000 მეტრზე ცდიდნენ ძალას. 17-18 წლის სპორტსმენთა ასპარეზობაში სტარტზე 24 მძლეოსანი გამოვიდა. მათ შორის საუკეთესო დრო (3.06,8) მ. მეტრეველმა („კოლმეურნე") აჩვენა. ქების ღირსია ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელი ნ. მოგილიოვა („ბურევესტნიკი"). ამ სპორტსმენს კარგი მონაცემები აქვს და ალბათ მისგან კარგი მორბენალი დადგება. თავდაპირველად მოგილიოვა ძირითად ჯგუფში იყო, მაგრამ შუა დისტანციის შემდეგ ტემპს უმატა და ლიდერები თანდათან ჩამოიტოვა. იგი მხოლოდ მეტრეველს ჩამორჩა. მოგილიოვას შედეგია 3.19,0. III ადგილზე გავიდა ა. დონაგონიანი („კოლმეურნე") — 3.31,0.

საინტერესო იყო 19-20 წლის ქალიშვილების შეჯიბრება. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს, რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრების წევრს ლ. კორკოტაძეს ცხინვალის პედინსტიტუტის სტუდენტმა მ. ქურთაევამ და წალკელმა ნ. ტოსუნოვამ („კოლმეურნე") თავიდანვე მძაფრი ბრძოლა შესთავაზეს, მაგრამ სტუმრებმა დაძაბულობას ბოლომდე ვერ გაუძლეს. საბოლოოდ კორკოტაძემ იმარჯვა — 3.12,4. ქურთაევას შედეგია 3.15,0, ტოსუნოვასი — 3.23,0.

ქალები 2000 მეტრზე ასპარეზობდნენ. 15 მონაწილეში ერთადერთმა თბილისელმა რ. შამოევამ (სპორტკლუბი „განთიადი") მოიპოვა II თანრიგის შედეგი — 7.25,1. მეორე და მესამე პრიზიორები — ე. ბაგიაევა (ცხინვალის პედინსტიტუტი, 7. 34,2) და წალკელი ა. ტოსუნოვა („კოლმეურნე", 7. 38,0) მესამე თანრიგს დასჯერდნენ.

ჭაბუკთა და ვაჟთა შეჯიბრების პრიზიორებმა დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიპოვეს. გამონაკლისი იყო მხოლოდ 5000 მეტრზე მორბენალ იუნიორთა შორის III ადგილზე გასული ა. ბერიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 16. 30,0, რომელმაც მეორე პრიზიორთან ე. გატიკოევთან (სპორტკლუბი „უშბა", „განთიადი") 1 წუთი და 4 წამი წააგო. ბერიძე III თანრიგს დასჯერდა. I ადგილი დაიკავა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. მიქოიანმა („ბურევესტნიკი") — 15.10,2.

სხვა დისტანციებზე საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1000 მ. ა. ბოლგოშვილი — 2. 44,0, ი. მიხანოვი— 2.44,4, ვ. სეხპოსოვი (ყველა — თბილისი) — 2. 48,0; 3000 მ. გ. ხუფაცარია (ფიზკულტურის ინსტიტუტი, „ბურევესტნიკი") — 9. 10,4, თ. ხარაზიშვილი („კოლმეურნე") —9.13,0, ი. პაპიაშვილი (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი, „სპარტაკი") — 9. 23,0; 8000 მ ნ. დავიდენკო (ფიზკულტურის ინსტიტუტი, „ბურევესტნიკი") — 24. 46,8, პ. კოჩეგუროვი („კოლმეურნე") — 24. 55,8, ვ. ნესტერენკო (სპორტკლუბი „ფოლადი", „განთიადი") — 24. 56,2.

გაგაცნობთ გუნდური ჩათვლის პრიზიორებს. სპორტსაზოგადოებები: „კოლმეურნე" — 61 საჯარიმო ქულა, „ბურევესტნიკი" — 85, „სპარტაკი" — 145; საწარმოთა სპორტკლუბები. „სინათლე" — 55, „უშბა" — 58, „ფოლადი" — 66; ტექნიკუმები. პოლიტექნიკუმი — 28, 54 ე პროფტექსასწავლებელი — 54, მანქანათმშენებლობის — 68; უმაღლესი სასწავლებლები. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 18, ცხინვალის პედინსტიტუტი — 34, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 37; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. თბილისის 133-ე სკოლა — 191, თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატი — 232, თბილისის 109-ე სკოლა — 296; პროფკავშირთა დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტები. სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტი, განათლების მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტი, კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტი.

რ. მაღრაძე.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — 500 მეტრზე მორბენალი გოგონები დისტანციაზე; მარჯვნივ—1000 მეტრზე მორბენალი ჭაბუკები ასპარეზობისას.

თ. გელაშვილის ფოტო.

## თბილისის პირველობაზე

გუშინწინ რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნა თბილისის ვაჟთა საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალი, რომელმაც 10 ფინალისტი უნდა შეარჩიოს. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ოსტატები, რომლებმაც ვერ შესძლეს თავიანთი სპორტული წოდების დამტკიცება, აგრეთვე ის ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები, რომლებმაც შესარჩევ შეჯიბრებებში გაიმარჯვეს.

უკონკურსოდ ითამაშებენ საერთაშორისო ოსტატები ნანა ალექსანდრია და რ. ჯინჯიხაშვილი, რომლებიც უახლოესი შეჯიბრებისთვის ემზადებიან.

ნახევარფინალში გათამაშდება 11 ტური ეგრეთ წოდებული „შვეიცარიული სისტემით". ამ სისტემის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ შეჯიბრების უძლიერესი მონაწილეები მხოლოდ ერთმანეთს შორის თამაშობენ, ისინი კი, ვისაც ქულათა მცირე რაოდენობა აქვს, ასევე ერთმანეთს ხვდებიან.

# თასი — მეორედ

## სსრ კავშირის თასი — „იზვესტიას" პრიზი მძლეოსნობაში

ტაშკენტში 8 ოქტომბერს დაიწყო და დღეს დამთავრდება სსრ კავშირის თასის — გაზეთ „იზვესტიის" პრიზის გათამაშების „ა" ფინალი მძლეოსნობაში. აქ თავი მოიყარეს იმ კოლექტივებმა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს მეოთხედფინალური და ფინალური ტურნირები. ესენი არიან მოსკოვის I და II, ლენინგრადის I და II, სვერდლოვსკის, რიგის, დონეცკისა და მოსკოვის ოლქის ვაჟთა, მოსკოვის I და II, ლენინგრადის I და II, მინსკის, მოსკოვის ოლქის, სვერდლოვსკისა და რიგის ქალთა გუნდები.

8 ოქტომბერს ქალაქის ცენტრალური სტადიონი ქალთა გუნდებს დაეთმო, გუშინ და დღეს კი თასისთვის ვაჟები იბრძვიან. ქალთა ასპარეზობაში თასი მეორედ მოიპოვა ლენინგრადის პირველმა გუნდმა, რომელმაც 92 ქულა მოაგროვა და 11 ქულით აჯობა მოსკოველ მძლეოსნებს. III ადგილზეა რიგის კოლექტივი — 74 ქულა.

აღსანიშნავია, რომ დიდხანს რიგელი ათლეტები ლიდერობდნენ, მაგრამ 200 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის რეკორდსმენის მ. ნიკიფოროვას გამარჯვების შემდეგ ლენინგრადელები დაწინაურდნენ. ნიკიფოროვამ ამ დისტანციაზე ქვეყნის რეკორდი (26,6) გაიმეორა.

თასის გათამაშების ფინალური ტურნირის ნამდვილი აღმოჩენა იყო ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ი. ტარასოვა, რომელიც 643 სმ სიგრძეზე გადახტა. წლეულს სსრ კავშირში ასეთი კარგი შედეგი არავის მოუპოვებია.

სიმაღლეზე ხტომაშიც ლენინგრადელმა სპორტსმენმა იმარჯვა — ე. გავრილოვამ 174 სმ დაძლია.

ბირთვის კვრაში მსოფლიოს რეკორდსმენ ნ. ჩიჟოვასა (ლენინგრადი) და მოსკოველ ა. ივანოვას დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. ივანოვამ ამას წინათ მსოფლიოში სეზონის მეორე შედეგი (18,94 მ) მოიპოვა, ახლა კი მხოლოდ 17,80 აჩვენა და II ადგილს დასჯერდა. ჩიჟოვამ ბირთვი ყველა ცდაზე 18 მეტრზე შორს გაგზავნა, საუკეთესო შედეგი კი 18,64 იყო.

ბადროს ტყორცნაში კონტინენტის ჩემპიონს თ. დანილოვას გამარჯვება არ გასჭირვებია — 57,42 მ. 100 მეტრზე რბენა მოიგო გ. ბუხარინამ (მოსკოვი) — 11,6, ხოლო 400 მეტრზე იმარჯვა ი. ბარკანემ (რიგა) — 54,2. სვერდლოვსკელმა გ. კუზმინამ 150 მეტრი 4 წუთსა და 25,9 წამში გაირბინა.

„ბ" ჯგუფის გუნდების ფინალური ტურნირი 16 ოქტომბერს დაიწყება კრასნოდარში, სადაც თბილისის ქალთა და ვაჟთა კოლექტივებიც იასპარეზებენ. ამ დღეს ქალებიც შეეჯიბრებიან ერთმანეთს, 18-19 ოქტომბერს კი სტადიონის ბილიკებსა და სექტორებში ვაჟები გამოვლენ.

## რაიონებში

### ✦ ასპინძა

დამთავრდა რაიონული პირველობა ფრენბურთში. გოგონებში ყველას აჯობა სოფელ იდუმალის 8-წლიანი სკოლის კოლექტივმა. II ადგილზე გავიდნენ ასპინძის, ხოლო III — ტოლოშის საშუალო სკოლების გუნდები. ვაჟებში უძლიერესი იყო ასპინძის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივი, II ადგილზე გავიდა დამალის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი, ხოლო III — ასპინძის კულტურის სახლის გუნდი.

ვ. ცინაძე,
ასპინძის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.



# „მთები და ადამიანები“

### ტრადიციული საერთაშორისო ფოტო-კინოკონკურსი

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ გამოაცხადა მორიგი, სათვალავით მეოთხე ტრადიციული ფოტო-კინოკონკურსი „მთები და ადამიანები“.

კონკურსის მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს მაღალი მთის სპორტს, დანერგოს ფოტო და კინომოყვარულობა მთამსვლელთა და ტურისტთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს. წარმოდგენილ ნამუშევრებში ასახული უნდა იყოს მთამსვლელთა და ტურისტთა ყოფა-ცხოვრება, მთის პეიზაჟები, ასვლების ტექნიკურად რთული უბნები, ცალკეული ქედები, მწვერვალები, ყინვარები, მაღალი მთის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრება, კულტურის ძეგლები, ფლორა, ფაუნა და სხვ.

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს 30×40 ზომის ფერადი ან შავ-თეთრი სურათები 18×24 ზომის სამი საკონტროლო ანაბეჭდით. ფერადი ან შავ-თეთრი კინოფილმები არ უნდა აღემატებოდეს ორ ნაწილს (სადემონსტრაციო 20 წუთი). კონკურსი გაიმართება, აგრეთვე, ფერადი დიაპოზიტივების განყოფილებით.

საუკეთესო ნამუშევრებისთვის დაწესებულია პრემიები: ფოტოგრაფიის განყოფილებაში — დიდი პრიზი, ორი პირველი, სამი მეორე, ოთხ-ოთხი მესამე და მეოთხე პრემია, კინოს განყოფილებაში — ორი პირველი, ორი მეორე და ერთი მესამე, დიაპოზიტივების განყოფილებაში — ერთი პირველი, ორ-ორი მეორე და მესამე პრემია.

დაწესებულია, აგრეთვე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ალპინიზმის სექციის პრიზები.

ყველა საკონკურსო მასალა უნდა გამოიგზავნოს 1970 წლის 31 დეკემბრამდე, საქართველოს ალპიურ კლუბში მისამართით: თბილისი, ლენინის ქუჩა № 37.



სურათებზე: ზევით — „ძილი“ (ი. ვასკოვსკი, სსრ კავშირი); ქვევით — „შესვენება“ (ე. აბგაროვიჩი, პოლონეთი. I პრემია).



● ვინკოვცი (იუგოსლავია), 9 ოქტომბერი. აქ მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში გათამაშდა 8 ტური. ლიდერობენ საბჭოთა დიდოსტატი ტაიმანოვი და მასპინძლები — მინიჩი და მარიჩი — 2-2 ქულა თვითეულს.

● მოსკოვი, 9 ოქტომბერი. ლუჟნიკის სპორტის სასახლეში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს ვარნაში გამართულ ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულებს, სსრ კავშირის ნაკრების წევრებს. ათასობით მაყურებელი გულთბილად შეხვდა ნაკრების უფროს მწვრთნელს გ. ახვლედიანს, მწვრთნელს ვ. ტიურინს, ფრენბურთელებს — ლ. ბულდაკოვას, ლ. მიხაილოვსკაიას, რ. სალიხოვას, ლ. ტიურინას, ტ. სარიჩევას, ვ. დუიუნოვას, ნ. სმოლეევას, ტ. ტრეტიაკოვას, ვ. ლანტრატოვას, ი. რისკალს, გ. ლეონტიევასა და მ. ბატუტიტეს.

● მოსკოვი. 9 ოქტომბერი. აქ დაიწყო ახალი სპორტული ლოტოს ბარათების გაყიდვა. ამ ახალი სპორტული ლატარიის ბილეთების რეალიზაციის შემდეგ შემოსული თანხა მოხმარდება ახალი სპორტული ბაზების მშენებლობას.

# წლეულს პირველად

ლენინგრადი, 10 ოქტომბერი. გუშინ აქ, ზამთრის სტადიონზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ეს ასპარეზობა წლეულს პირველად ტარდება და, ბუნებრივია, სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესსაც იწვევს. ტურნირში მონაწილეობენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ადგილობრივი ათლეტები. შეხვედრები სამ ხალიჩაზე ტარდება.

ლენინგრადში თავი მოიყარა მთელმა ჩვენმა მოჭიდავეთა ნაღებმა. არ არიან მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონი, მინსკელი ა. მედვედი და მსოფლიოს ჩემპიონი, თბილისელი შ. ლომიძე, აგრეთვე, სხვა რამდენიმე წამყვანი ათლეტი. თუმცა, ერთი რამ დასაზუსტებელია: მედვედი არ გამოდის, მაგრამ მის გვარს მონაწილეთა შორის მაინც ვხვდებით. საქმე ისაა, რომ ბელორუსიის გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობს სახელგანთქმული ფალავანის ძმა პეტრე.

ლენინგრადი ამ პირველი ტურნირის სარბიელად შემთხვევით როდი დაასახელეს. 75 წლის წინ სწორედ ამ ქალაქში შეიქმნა რუსეთის პირველი ათლეტური წრე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამოყვარულო ჭიდაობას ჩვენს ქვეყანაში. ამას გარდა, 25 წლის წინ სწორედ ლენინგრადში მოეწყო პირველი საკავშირო ჩემპიონატი.

ტრადიციისამებრ, ტურნირი მინიწონითი კატეგორიის (48 კგ) ათლეტებმა გახსნეს. პირველად ხალიჩაზე გამოვიდნენ ევროპის შარშანდელი ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, იაკუტიელი რომან დმიტრიევი და 22 წლის მინსკელი ათლეტი ბ. შლეპკინი. ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო და ფრედ დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ შარშან დმიტრიევმა შედარებით იოლად მოუგო შლეპკინს.

მომდევნო წონით კატეგორიაში (52 კგ) გამოდიოდა რომან დმიტრიევის უმცროსი ძმა გავრილი. მან წარმატებას მიაღწია ალმაათელ ა. იმანკულოვთან და ქულებით დაამარცხა იგი. ხალისიანად დაიწყო ტურნირი ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა, ბაქოელმა რ. გაჯიევმა (48 კგ), რომელმაც ასევე ქულებით მოუგო თანაქალაქელ ნ. კულიევს.

შეჯიბრება ხვალ დამთავრდება.




◆ ვაიმარი, 10 ოქტომბერი. აქ ჩატარდა სსრ კავშირისა და გდრ-ს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების განმეორებითი შეხვედრა, რომელიც გერმანელთა გამარჯვებით აღინიშნა — 3:2. წინა მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 2:1.

◆ ბრატისლავა, 10 ოქტომბერი. ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის, კიევის „სპარტაკის“ ხელბურთელ ქალთა გუნდის მეტოქე ახალი გათამაშების მერვედფინალში იქნება „უნიონ-ადმირას“ (ვენა) კოლექტივი.

◆ ვალპარაისო, 10 ოქტომბერი. ჩილის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა ქალმა როზენდალმა იერიში მიიტანა თავისსავე მსოფლიო რეკორდზე სიგრძეზე ხტომაში (684 სმ). მან მართალია, აჩვენა 696 სმ, მაგრამ ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებას ხელი შეუშალა ზურგქარმა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ყველა ქვეყანა ეპატიჟება

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გფრ-ის ნაკრების ნახევარმცველი ოვერატი ველარ აუდის წერილების მიღებას. მას მრავალი კლუბი ეპატიჟება, მათ შორის, „რეალი“ (მადრიდი), ბელგიისა და ჰოლანდიის გუნდები.

ოვერატი ამბობს, რომ „კელნს“ არ მიატოვებს. მისი აზრით, სხვა ქვეყანაში წასული მოთამაშე ვერაფერს იძენს და თანდათანობით სახეს კარგავს.

△ მაინცი (გფრ). თ. ზახარიასმა წლეულს სამჯერ გააუმჯობესა გფრ-ის რეკორდი, ამას წინათ აქ გამართულ შეჯიბრებაში კი ახალ წარმატებას მიაღწია — 220 სმ სიმაღლე გადალახა.

△ ბელგრადი. 70 ათასი მაყურებელი დაესწრო იუგოსლავიის, გფრ-ისა და უნგრეთის მძლეოსანთა მატჩს, რომელიც ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა. დ. კორიცამ 2000 მეტრზე რბენაში იუგოსლავიის ახალი რეკორდი დაამყარა — 5.05,6. მანვე მოიგო 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაც — 8.14,4.

△ ბერლინი. ახალგაზრდა ბირთვის მკვრელმა უ. გრაბემ ევროპაში სეზონის მეორე შედეგი აჩვენა — 20,43 მ. ეგვიპტელმა ნ. ასადიმ აფრიკის ახალი რეკორდი დაამყარა — 19,05. აფრიკელთაგან იგი პირველი ბირთვის მკვრელია, რომელმაც 19-მეტრიანი ზღვარი გადალახა.

△ ბუდაპეშტი. უნგრელ მძლეოსანთა ტურნირში გ. ფეხერი ბადროს ტყორცნაში ქვეყნის რეკორდს დაეუფლა. მისი შედეგი — 64,22 მ — ძველ მიღწევაზე 1,08 მეტრით უკეთესია.



△ სოფია. ვიტოშის მთაზე გაიხსნა ბულგარეთში პირველი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინი, რომელზეც საერთაშორისო ტურნირიც გაიმართა. ტრამპლინის რეკორდი დაამყარეს მასპინძლებმა ბ. სოტიროვმა და ს. ილიევმა (ორივე 54 მეტრზე გადახტა), გამარჯვება კი გ. უსბეკმა (გდრ) დაისაკუთრა—208 ქულა (53 და 53 მ). II ადგილზეა ილიევი — 204,5 (54 და 50,5 მ).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

# გიწვევთ, ფილატელისტებო!

15-დან 5 ნოემბრამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს ალპიურ კლუბში აწყობს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ფილატელისტურ გამოფენას სპორტულ თემატიკაზე.

ფილატელისტს, რომელსაც ყველაზე სრულად და მრავალმხრივად ექნება წარმოდგენილი გამოფენაზე სპორტული თემატიკა, გადაეცემა კომიტეტის საპატიო სიგელი და ფასიანი საჩუქარი.

აქ შერჩეული საუკეთესო კოლექციები გაიგზავნება საკავშირო ფილატელისტურ გამოფენაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დღეებში, 1971 წლის ივლის-აგვისტოში.

ფილატელისტებმა, რომლებსაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკურ გამოფენაში, ექსპონატები უნდა წარუდგინონ გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტს ა. წ. 14 ოქტომბრამდე. მისამართი: თბილისი, საქართველოს ალპური კლუბი (ლენინის ქ. № 35).

გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტი.




მძლეოსნობა. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 11 ოქტომბერი. საქართველოს პროფსაბჭოსა და განათლების განყოფილების ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლების გუნდების მატჩი. დასაწყისი 16 ს.

ფეხბურთი. „სინათლის“ სტადიონი. საქართველოს პირველობა. 11 ოქტომბერი. „სინათლი სპორტსკოლათა გუნდების (სიღნაღი). დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66448 · საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04439